

მითოსური ელემენტის სახეცვალებადობა სხვადასხვა ეპოქის
ლიტერატურულ ტექსტში
(სოფოკლეს “ოიდიპოსისა” და მურაკამის “კაფკა პლაჟზე“ მიხედვით)

თამთა ბზეკალავა

სამაგისტრო ნაშრომი

შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნინო ფირცხალავა, პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2021

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

თამთა ბზეკალავა. 29.01.2021.

აბსტრაქტი

მოცემული ნაშრომის თემატიკა განისაზღვრება ლიტერატურული ტექსტების დროსა და სივრცეში მითოსის ადგილის კვლევით. საკვლევი საკითხი დავიწროვდა ანტიკური ტრაგედიისა და პოსტმოდერნული ტექსტების მიხედვით. მითოსის ადგილი განისაზღვრა სოფოკლესეული *ოიდიპოს მეფისა* და მურაკამის რომანის *კაფკა პლაჟზე* მიხედვით. ეს კვლევა ცდილობს უპასუხოს კითხვას, არის, თუ არა პოსტმოდერნულ ლიტერატურულ ტექსტში ტრანსცენდენტალური სამყარო მითოსისთვის ახალი სივრცე და რა ნიშნებით ხდება ამ კავშირის დადგენა.

ნაშრომში გამოყენებულია შედარებითი კვლევის მეთოდი, რადგან ის ეფუძნება ანტიკური ფესვებიდან მომდინარე მითოსის ტრანსფორმირებას და ამ სახეცვლილების წარმოჩენა სწორედ შედარების საფუძველზე ხდება. კვლევის მეთოდოლოგიად გამოყენებულია კონტენტ-ანალიზი, რადგან მოცემულ ნაშრომში ძირითადად არსებული წყაროების ინტერპრეტირება-გადამუშავება ხდება.

კვლევაში დასახული მიზანი, რაც მეტაფიზიკურ სამყაროსა და მითოსს შორის კავშირის განსაზღვრას გულისხმობდა, ნაშრომზე მუშაობის პროცესში რამდენიმე არგუმენტით დასაბუთდა. შეიძლება ითქვას, რომ ტრანსცენდენტალური აზროვნება, რომელიც მეტაფიზიკურ სამყაროს ხილულს ხდის, იმავე მახასიათებლებს ფლობს, რასაც მითოსი თავისი არსით. რეკომენდაციის სახით კი, სასურველია კვლევა გაფართოვდეს საკვლევი ლიტერატურული ეპოქებისა და ტექსტების მხრივ და გაანალიზდეს მითოსის ტრანსფორმირება კიდევ უფრო მასშტაბურად.

Abstract

The main subject of this research is to study the place of mythos in the space and time of fiction-writing. The scope of study was specified according to antique tragedies and postmodern texts. The place of mythos was observed through two main works: “Oedipus the King” by Sophocles and “Kafka on the Shore” by Haruki Murakami. The study answers the question, is there a transcendental universe a new space for mythos in post-modern fiction-writing and how these connections are identified.

The methodology of the study is comparative content analysis because it is based on the transformation of the ancient mythos and this transformation is shown through comparativism. This work is based on sources which were processed and further interpreted. The aim of the study, to present a connection between metaphysical universe and mythos was proved with several arguments.

As a result, transcendental thinking that makes the metaphysical universe visible has the same characteristics as mythos. Further studying of the topic is recommended, incorporating different times and works in order to analyze transformation of the mythos in depth.